



**დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

ქ. თბილისი

2021 წლის 16 ივლისი

**დისციპლინური საქმე №82/21
მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ**

--- და --- 2021 წლის 7 ივლისის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის წერილით მოსამართლეს ეცნობა საჩივრის შემოსვლისა და მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

1. საჩივრის ავტორების მიერ მითითებული გარემოებები:

საჩივრის ავტორები აღნიშნავენ, რომ მათ მიმართ სასამართლოში წარდგენილია სარჩელი. 2021 წლის 24 ივნისის გზავნილზე, რომელიც თან ახლდა სარჩელს, მითითებული იყო, რომ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში მათ მიმართ გამოტანილი იქნებოდა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. საჩივრის ავტორები განმარტავენ, რომ გზავნილზე მითითებული ტექსტი წარმოადგენს მუქარას, რომელიც არღვევს მათ კანონიერ უფლებებს.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2021 წლის 23 ივნისს --- სარჩელით მიმართა --- სასამართლოს მოპასუხეების ---, --- და --- მიმართ, დაზიანებული ქონების შეკეთების მოთხოვნით.

საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე ---, რომელმაც სარჩელი მიიღო განსახილველად. სარჩელი 2021 წლის 24 ივნისს გაეგზავნათ მოპასუხეებს.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

შესაბამისად, მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება აქვს მოსამართლეს, ხოლო მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება აქვს მხოლოდ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

„მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორი არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

ამდენად, არსებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

აღნიშნულ შემთხვევაში, განსახილველად მიღებული სარჩელი მოპასუხეებს გადაეგზავნათ საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების დაცვით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლი იმპერატიულად ადგენს, რომ „სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში მოსამართლეს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება ამ კოდექსის XXVI თავით დადგენილი წესით“, ამის შესახებ კი სასამართლო ვალდებულია აცნობოს მოსარჩელეს, რათა მისთვის ცნობილი იყოს შესაგებლის წარმოდგენლობის თანმდევი შედეგები.

სასამართლოს მხრიდან მსგავსი ხასიათის ინფორმაციის მხარისათვის მიწოდება ემსახურება მოპასუხის ინტერესს, რათა იგი არ დაზარალდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების არ ცოდნის გამო. აღნიშნული გზავნილი არ შეიცავს მუქარის მესიჯს, პირიქით მასში ჩამოყალიბებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კონკრეტულ თავში დაცული წესები, რომლითაც მოპასუხე მხარემ უნდა ისარგებლოს პასუხის (შესაგებლის) წარმოდგენისას.

შესაბამისად, მოსამართლე -- -- მოქმედება სრულიად თავსდება მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

-- -- და -- -- 2021 წლის 7 ივლისის №-- საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ.

ზურაბ აზნაურაშვილი

დამოუკიდებელი ინსპექტორი